გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023-2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება

2. **თემატიკა:** (გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

პროგრამის მიზნებს წარმოდგენს:

ა) სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული ოჯახების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები) მხარდაჭერა;

ბ) იმ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისკენ;

გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

პროექტის ინიციატორია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია. თანადაფინანსება განახორციელა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ).

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში მდებარეობს, შავ ზღვას, მდინარე ფიჩორსა და გურიის ქედს შორის. იგი ოდიშ-გურიის დაბლობის ტერიტორიასა და მის მიმდებარე სერებს მოიცავს. რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ლანჩხუთი. მუნიციპალიტეტს დასავლეთიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლი ესაზღვრება, აღმოსავლეთით - სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით - ხობის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით კი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. ლანჩხუთის შემადგენლობაში 16 ტერიტორიული ერთეულია. მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში დიდი როლი აქვს ბაქო-სუფსის ნავთობსადენსა და სუფსის ტერმინალს. ლანჩხუთი ასევე მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით (ტორფი, მაგნეტიტი, კირქვა, თიხნარი, მინერალური წყალი). რაიონი ლამაზი ბუნებითა და უძველესი

კულტურის ძეგლებით გამოირჩევა. ულამაზესი კოლხეთის ეროვნული პარკი, მწვანეში ჩაფლული ჯაპანის ტბა, პალიასტომი, შუასაუკუნოვანი ძეგლები და მოლივლივე ლურჯი ზღვა ქვიშიანი სანაპიროებით უამრავ ტურისტს იზიდავს.
მოსახლეობის რაოდენობა 31 486 კაცია **(ქალი - 51,69%, კაცი - 48,4%** საქალაქო დასახლება **20,3%. სასოფლო** დასახლება **- 79,7%)**

5. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

შიდა ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაზე:

ა. ძლიერი შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურა, მკაფიოდ განაწილებული როლებით, ეფექტური გადაწყვეტილების მიღების სრულყოფილი პროცედურები.
ბ. კვალიფიციური საჯარო მოხელეები, რომლებსაც აქვთ პროფესიული ცოდნა პროგრამის სამართავად. მათ შორის ფინანსური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლია უზრუნველყოს სახსრების ეფექტური განაწილება და ზედამხედველობა.
გ. მკაფიო გაიდლაინები და კარგად განსაზღვრული და გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც ზრდის ნდობას და წაახალისებს ადგილობრივი ოჯახების მონაწილეობა.
დ. მოქნილი შეფასების და მონიტორინგის მექანიზმები, რაც ხელს უწყობს სახსრების ეფექტურად გამოყენებას.
ე. მუნიციპალიტეტის საინფორმაციო არხების საშუალებით მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება პროექტის შესახებ.

გარე ფაქტირები რომლებიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაზე:

ა. მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ბაზარზე წვდომა:
ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის E-692 მაგისტრალი
მანძილი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტამდე - 88 კმ;
მანძილი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე - 47 კმ;
მანძილი ფოთის პორტამდე - 42 კმ; კმ
მანძილი ბათუმის პორტამდე – 85;
ლანჩხუთის რკინიგზის სადგური მდებარეობს ქალაქის ცენტრში. (შესაძლებელია როგორც სამგზავრო გადაყვანა, ასევე ტვირთის გადაზიდვა)

ბ. ბიზნესის ხელშემწყობი გარემო:
საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ჩარჩო; ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების მარტივი პროცედურები; ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის მოხერხებული პირობები; სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა;

გ. დაბალი დანახარჯები ბიზნესის წარმოებისთვის:
ადვილად ადმინისტრირებადი საგადასახადო სისტემა და დავების მოგვარების მოქნილი სტრუქტურა;
ბიზნესის დაწყების სიმარტივე;
თავისუფალ ინდისტრიულ ზონებთან სიახლოვე და ლოგისტიკის დაბალი დანახარჯები;
უძრავი ქონების ხელსაყრელი ფასები.
ბუნებისგან შექმნილი ეკოლოგიურად სუფთა გარემო, რაც ორგანული პროდუქტების წარმოების და დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

პროგრამა მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი შემდეგი გამოწვევების მოგვარების მიზნით:

ა. მაღალი უმუშევრობა და ადგილობრივი მოსახლეობის შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობები: ამ პროექტს შეუძლია ოჯახებს მიანიჭოს შესაძლებლობა, რომ შექმნან საკუთარი ბიზნესი ან გააფართოვონ არსებული.

ბ. შეზღუდული წვდომა კაპიტალზე: მცირე მეწარმეებს და საოჯახო ბიზნესს ხშირად უჭირთ დაფინანსების ტრადიციულ წყაროებზე წვდომა, როგორიცაა საბანკო სესხები, სხვადასხვა გრანტები (რომლებიც მოითხოვს თანადაფინანსებას). პროექტი აღმოფხვრის ამ ხარვეზს მათთვის ხელმისაწვდომი დაფინანსების შესაძლებლობის მინიჭებით.

გ. ბიზნესის განვითარების ცოდნის ნაკლებობა: ბევრ პოტენციურ მეწარმეს შეიძლება არ ჰქონდეს უნარები ან ცოდნა ბიზნესის დასაწყებად. ეს პროექტი სასწავლო კომპონენტის საშუალებით ამაღლებს მონაწილეთა ციდნას ბიზნეს დაგეგმვისა და მარკეტინგის საკითხებში, რათა დაეხმაროს მიმღებებს სახსრების მაქსიმალურად გამოყენებაში.

დ. ურბანული მიგრაცია და სოფლის მოსახლეობის კლება: ეკონომიკური გამოწვევები სოფლად ხშირად იწვევს მიგრაციას ქალაქებში უკეთესი შესაძლებლობების ძიებაში, რაც იწვევს მოსახლეობის შემცირებას და ადგილობრივი შესაძლებლობების დაკარგვას. ოჯახების ეკონომიკურად გაძლიერებამ შეიძლება შეამციროს მიგრაცია ადგილობრივი რესურსების ეფექტური გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების სტაბილურობას.

ე. სოციალური უთანასწორობა და გენდერული უთანასწორობა: ეკონომიკური შესაძლებლობები ყოველთვის არ არის თანაბრად გადანაწილებული და ქალები ან სხვა მარგინალიზებული ჯგუფები შეიძლება შეხვდნენ დამატებით ბარიერებს. პროექტი ითვალისწინებს ამ ჯგუფების მიერ თანხების ხელმისაწვდომობის ზრდას.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა 2022 წლის 4 ივლისს. პროგრამის განხორციელების მიზნით გამოცხადდა საგრანტო კონკურსი. განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 10 დღის ვადაში. ამ დროის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში რეგისტრირებული იქნა 75 განაცხადი. სამდივნოს პირველი სხდომაზე მონაწილეებს მიეცათ ხარვეზის გამოსწორების ვადა. მეორე სხდომაზე განხილული იქნა წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციები. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით კონკურსის მეორე ეტაპზე გადავიდა 72 განაცხადი. მეორე ეტაპზე გადასულმა ყველა მონაწილემ გაიარა პროგრამის სასწავლო კომპონენტი და მიიღო შესაბამისი სერთიფიკატი. ბიზნეგეგმა წარმოდგენილი იქნა 42 პრეტენდენტის მიერ. სკონკურსო კომისიის მიერ ადგილზე შესწავლილი იქნა ყველა წარმოდგენილი ბიზნეს გეგმით მოწოდებული ინფორმაციის ფაქტიური მდგომარეობა, რის შემდეგაც დადგენილი წესით შეფასდა წარმოდგენილი გეგმები. კომისიამ გეგმების განხილვა დაასრულა 2023 წლის 22 აგვისტოს. საბოლოოდ გამარჯვებულად გამოაცხადა 21 მონაწილე.

2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ბენეფიციარებისათვის შესყიდულია სხვადასხვა სახის ინვენტარი, რომლის ღირებულება შეადგენს 101415,50 ლარს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით ერთი გამარჯვებული ბენეფიციარისთვის განხორციელდა სანიტარული კვანძის მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 12998,60 ლარს. აგრეთვე (GIZ)-ის დაფინანსებით ჩატარდა ტენდერები სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალების შესასყიდად. სულ GIZ-ის დაფინანსებით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება შეადგენს 98584,43 ლარს.

დღეისათვის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით ყველა ხელშეკრულება შესრულებულია და შესყიდული საოქნელი გადაცემულია ბენეფიციარებისათვის.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

მერიის მიერ ჩატარებული მონიტორინგით ირკვევა, რომ 21 ბენეფიციარიდან უკვე სრულყოფილი ფუნქციონირება დაიწყო 19 ბენეფიციარმა. აღნიშნული ბენეფიციარების წლიური ბრინვა შეადგენს 76000 ლარს.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

პროგრამის წარმატების რამდენიმე ძირითადი ფაქტორი შეიძლება გამოვყოთ:

1. პროგრამაში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელების იდეა წარმოიშვა ადგილობრიმ მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრების დროს. მათ საშუალება ჰქონდათ დასწრებოდენ პროგრამის საკოორდინაციო სამდივნოს და საკონკურსი კომისიის სხდომებს.
2. პროგრამა იყო მარტივი მინიმალური ბიუროკრატიული დაბტკოლებებით.

3. პროგრამის სასწავლო კომპონენტმა საშუალება მისცა დაინტერესებულ პირებს შეესწავლათ გიზნეს გეგმის მომზადება და ბიზნესის წამოწყებისა და გაფართოების შესაძლებლობა.

10. საკრებულოს როლი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის განხორციელებაში. საკრებულოს მიერ დადგენილებით დამტკიცებული იქნა აღნიშნული პროგრამა. საკრებულოს წევრები მონაწილეობდნენ როგორც სამდივნოს ასევე კომისიის შემადგენლობაში.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ლანჩხუთსი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომდევნო წლებში იგეგმება პროგრამის გაგრძელება.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა); მაია აფხაზავა, ეკონომიკისა და საინვენსტიციო პროექტების განყოფილების უფროსი. ტელ 591232929, mafkhazava123@gmail.com
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

ალექსანდრე სარიშვილი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი, *ელ. - ფოსტა: aleqsandresarishvili21@gmail.com. ტელეფონის ნომერი: **599737755.***

ეკა გუჯაბიძე _ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ელ. ფოსტა katringudjabidze@gmail.com, ტელ 591111975

თორნიკე ტიკაძე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, *ელ. - ფოსტა:* torniketikadze1991@gmail.com_*ტელეფონის ნომერი: **551094143***

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ.
2. საკრებულოს განკარგულება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის (2024 -2027) დამტკიცების შესახებ
3. ფოტომასალა

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 595 577734 nzurabishvili@nala.ge